ნამაზი

საბავშვო მოთხრობები ისლამი-2

# ჩვენები

## სელმას გასეირნება სელიმიეში



# ჩვენები
# სელმას გასეირნება სელიმიეში

ბეთულს ადრე გაეღვიძა და დეიდას საუზმის მომზადებაში ეხმარებოდა. ჩაის ჭიქები, თეფშები და სალფეტკები ლამაზად დაალაგა. დეიდას ძალიან მოეწონა და ბეთულს მადლობის ნიშნად აკოცა.

ბეთული და მისი ოჯახი ედირნეში მცხოვრებ დეიდასთან წავიდნენ. დეიდამისის სახლი სელიმიეს მეჩეთის უკან იყო. ბეთული ბალკონზე გავიდა. მოუთმენლად ელოდა, როდის დაათვალიერებდა ამ ისტორიულ ქალაქს. მტრედები სელიმიეს მეჩეთის გუმბათებზე დაფარფატებდნენ. მინარეთებს შორის კი სუსტი ნიავი ქროდა.



მალე ბეთულის უფროს დას, ზელიჰასაც გაეღვიძა.

- დილა მშვიდობისა დეიდა. ჩემთვის საქმე აღარ დაგიტოვებიათ.

- ასეა ჩემო კარგო. ბეთულმა დაგასწრო და ყველაფერი გააკეთა.

ზელიჰაც ბალკონზე გავიდა.

საუზმემდე ერთად უყურებდნენ ამ ისტორიულ ქალაქს.



საუზმის შემდეგ ბეთულის ცნობისმოყვარეობამ ყველაფერი გადაწონა. ყველანი წასასვლელად მოემზადნენ. დეიდა ბეთულს შეპირდა, რომ მთელ ქალაქს შემოატარებდა.

ჯერ შუქრუ ფაშას მემორიალთან უნდა მისულიყვნენ. მემორიალამდე აღმართი იყო და ცოტათი დაიღალნენ. გორაზე რომ ავიდნენ გრილმა ნიავმა ზაფხულის სიცხე უცებ გაანელა.

შუქრუ ფასამ ბალკანეთის ომში ედირნე გმირულად დაიცვა. ის ძალიან მკაცრი და მამაცი მეთაური იყო. შუქრუ ფაშა თავისი ჯარისკაცებით ედირნეს ხუთი თვისა და ხუთი დღის განმავლობაში იცავდა. მითუმეტეს საკმარისი არც იარაღი ჰქონდათ და არც საკვები. ბეთულს ეს ყველაფერი რომ უამბეს, მან თავისი ქვეყნის ისტორიის გამო კიდევ ერთხელ იგრძნო სიამაყე.



მოგვიანებით იმ ადგილებსაც დაათვალიერებდნენ, სადაც ბრძოლა მიმდინარეობდა. მანამდე კი მწვანეში ჩაფლული მემორიალის გვერდით დასხდნენ. ცოტა ხანი ზემოდან დაჰყურებდნენ ოსმალეთის პირველ დედაქალაქს.

შუქრუ ფაშას მტრებიც კი პატივისცემით მოიხსენიებდნენ. უკან რომ ბრუნდებოდნენ, ეს მამაცი მეთაური და მისი თავგანწირული ჯარისკაცები კიდევ ერთხელ შეავედრეს ღმერთს.

კიდევ ბევრი ადგილი იყო სანახავი. ამასობაში შუადღის ნამაზის დრო მოვიდა. ამიტომ ჯერ სელიმიეს მეჩეთში შესვლა გადაწყვიტეს.





სელიმიეს მეჩეთის გარე ეზო საკმაოდ ფართო და მწვანეში ჩაფლული იყო. ადამიანები ხეების ჩრდილში გრილდებოდნენ. ბავშვები კი ჟრიამულით თამაშობდნენ.

სელიმიეს მეჩეთის ქვეშ ძველი ოსმალური ბაზარი იყო. აქ, მოსული ვიზიტორებისთვის ნაირნაირი სუვენირები იყიდებოდა. ასევე აქ ნახავდით ხილის არომატიან საპნებს, რომელიც ქალაქის სიმბოლოდ ითვლებოდა. ბეთულს ეს ხილის და ყვავილების ნახატებიანი საპონები ძალიან მოეწონა. უკან დაბრუნებისას მეზობრებისთვის უნდოდა ეყიდა. იცოდა, რომ სელმას ეს ძალიან მოეწონებოდა.

ბაზრობიდან მაღლა ავიდნენ და მეჩეთის შესასვლელში აღმოჩნდნენ. შესასვლელთან ბაღში უამრავი ვარდი ხარობდა და შემოსულებს გულგახსნილი ეგებებოდა.

მეჩეთში შევიდნენ. მარმარილოს უზარმაზარი ბოძებიდან თითქოს სიგრილე მოდიოდა. ეს საუკუნოვანი საოცარი არქიტექტურის ნიმუში მნახველებს აოცებდა. ბეთული მაშინვე გაიქცა და მეჩეთში მომდინარე შადრევნიდან წყალი დალია. ყველანი ყურადღებით აკვირდებოდნენ მეჩეთის თითოეულ დეტალს. ბეთულის ბიძა ჩურჩულით უხსნიდა.

ეს მეჩეთი ოსმალეთის მეთერთმეტე სულთანმა სელიმ მეორემ ააგებინა. ცნობილი არქიტექტორი სინანი ამ მეჩეთის აგებისას ოთხმოცი წლის იყო. ეს მეჩეთი ოსმალური არქიტექტურის თვალსაჩინო ნიმუში იყო. გარდა არქიტექტურისა, შიგნით მოპირკეთებული მარმარილო, სადაფი და სხვა ძვირფასი ჩუქურთმებიც განსაკუთრებული იყო.



ბეთულის ბიძამ ბევრი არქიტექტურული თავისებურებები განმარტა, მაგრამ ბეთულს ეს არ დაამახსოვრდა. ლოცვის დრო მოახლოებული იყო. მეჩეთში შემოსული მამაკაცები წინა რიგებში იკავებდნენ ადგილს. ბეთულის მამა და ბიძაც წინა რიგებში მოთავსდნენ. ბეთული და დედამისი მანდილოსნების რიგებში ჩადგნენ.

- მეც მინდა თვენთან ერთად ნამაზი შევასრულო. სთხოვა დედას ბეთულმა.

- რა თქმა უნდა შვილო. ძალიან კარგი იქნება. თუმცა ჯერ განბანვაა (აბდესთი)საჭირო.



ბეთული თავის უფროს დასთან ერთად იმ ადგილას წავიდა, სადაც მანდილოსნები ლოცვისწინა განბანვის რიტუალს ასრულებდნენ.

მეჩეთში შესვლისას დეიდას მიერ მოცემული თავსაფარი დაიხურა. დედამ რომ თავსაფრიანი ბეთული დაინახა ძალიან გაუხარდა.

- ყოჩაღ შვილო. რა ლამაზი ხარ. როგორ გიხდება!

ბეთული დედის გვერდით ჩამოჯდა.

- მისმინე შვილო, სანამ ნამაზის შესრულებას ისწავლიდე, ნამაზის მნიშვნელობა და მადლი უნდა იცოდე.



- ნამაზი, როგორც ვიცით ისლამის მეორე პირობაა. პირველი პირობა შაჰადაა. ნამაზის შესრულება ყოველი ზრდასრული და გონებასრული მუსლიმისთვის სავალდებულოა. ღმერთმა ნამაზის შესრულება, ყურანში გვიბრძანა. შუამავალმა კი გვასწავლა თუ როგორ უნდა შევასრულოთ ნამაზი. დღეში რომ ხუთი დროის ნამაზია ეს ისედაც იცი შვილო.

გარდა ამისა, პარასკევ დღეს პარასკევის ნამაზია, ჯუმა. რამადანის თვეში კი თერავიჰის ნამაზი სრულდება.

- მსხვერპლშეწირვის დღესასწაულისა და რამადანის ბაირამის ნამაზიც ხომ არის? – დაასწორ დედას ბეთულმა.



- დიახ შვილო. გარდა მაგისა ადამიანს შეუძლია სხვა დამატებითი მანაზებიც შეასრულოს. ადამიანი რომ მოკვდება მიცვალებულის ნამაზი, ჯენაზე სრულდება. ეს ნამაზი გარდაცვლილი ადამიანისთვის ვედრებაა.

ნამაზის დაწყებამდე ლოცვისწინა განბანვა სრულდება. ასევე სუფთა უნდა იყოს ტანისამოსი და ის ადგილი სადაც ნამაზი სრულდება. ნამაზის შესრულებისას სახით ქააბასკენ უნდა ვიდგეთ. დედამიწის ნებისმიერ წერტილში მუსლიმები ნამაზის შესრულებისას სახით ქააბასკენ დგებიან.

ბეთული დედას რომ უსმენდა უფრო და უფრო ღელავდა. უკვე ძალიან ეჩქარებოდა ნამაზის ლოცვა.



ბეთულის უფროსი და ზელიჰა ხედავდა როგორ ღელავდა ბეთული. თხრობა მან გააგრძელა.

- ნამაზი რწმენის შემდეგ ჩვენი სარწმუნოების ყველაზე მნიშვნელოვანი ბრძანებაა. უფრო მეტიც, ნამაზი სარწმუნოების დედაბოძია. ნამაზის თავის დროზე შესრულება ღმერთის წინაშე მოსაწონი საქციელია. ნამაზის უგულებელყოფა კი დიდი ცოდვაა.

ნამაზი ძალზედ მნიშვნელოვანი ღვთისმსახურებაა. ნამაზის დროს ადამიანი ღმერთთან ყველაზე ახლოსაა.

მეჩეთში ახლად შემოსული ქალბატონებიც ირგვლივ იკრიბებოდნენ და საუბარს უსმენდნენ. თხრობა ბეთულის დეიდამ გააგრძელა.

- ბეთულ, ნამაზის შესრულებისას შუბლი ძირს უნდა შევახოთ. სწორედ ამ მომენტშია ადამიანი ღმერთთან ყველაზე ახლოს. სწორედ სეჯდე გვაგრძნობინებს თუ რაოდენ უმწეონი ვართ და რა დიადია ალლაჰი. როგორც სხეულს სჭირდება ძილი, სულსაც ამგვარი სულიერი მოთხოვნილებები გააჩნია. სწორედ ესაა ღვთისმსახურება. ამრიგად ღმერთის წინაშე ვალდებულებებსაც ვასრულებთ. ამავე დროს კი სულიერ მოთხოვნილებებსაც ვიკმაყოფილებთ.



ბეთული ისევ ყურადღებით უსმენდა.

- ნამაზს ვინც ასრულებს, მას ყოველთვის ახსოვს ღმერთი. ის ყოველდღიურ ქცევებსაც აკონტროლებს. ცუდად არ მოიქცევა და ბოროტებას არ ჩაიდენს. ამრიგად სულ ცდილობს ღმერთის კმაყოფილება მოიპოვოს.

- გასაგებია დედა, ნამაზის ლოცვა ძალიან მნიშვნელოვანი ღვთისმსახურება ყოფილა. მე ახლავე მინდა ვისწავლო.

- ისწავლი შვილო. ნუ ჩქარობ. მთავარია სწორად ისწავლო.



შუადღის ნამაზის ეზანი სელიმიეს მეჩეთის საუკუნოვანი მინარეთებიდან გაისმა. ეს იყო ყველაზე ლამაზი სახის მოწოდება ლოცვისკენ. ის მლოცველების გულში თბილად ჩაიღვარა.

- ახლა ჩვენ შუადღის ნამაზს ყველანი ერთად შევასრულებთ. ნამაზის ასეთ კოლექტიურად შესრულებას წმ. შუამავალი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ასე ერთად შესრულებული ნამაზი დიდი მადლია.

ამ დროს მლოცველები, ერთიანად, ერთი მიმართულებით, ერთი განზრახვით და ერთი გულით დგებიან. ესა რის ერთიანობის უნიკალური გამოხატულება.





- ახლა კი უნდა წარმოვთქვათ ის სიტყვები, რომელიც ჩვენს მიერ დღევანდელი შუადღის ნამაზის შესრულების განზრახვას ადასტურებს. ასევე უნდა მივუთითოთ, რომ იმამს მივყვებით.

შემდეგ წარმოთქვამ "ალლაჰუ ექბერ"! წაიკითხავ სუბჰანექეს და ჩუმად დაელოდები. ახლა შუადღის ნამაზი შევასრულოთ და შემდეგ სხვებსაც გასწავლით.

ბეთული ნამაზისთვის მოემზადა. ის დედის გვერდით იდგა. ნამაზი რომ დამთავრდა ბეთული სირბილით გაიქცა მამასთან.

- მამა, იცი, რომ მეც ვილოცე ნამაზი?

- ყოჩაღ შვილო! ღმერთმა მიიღოს შენი ლოცვა. მამას ძალიან გაუხარდა და ბეთულს ლოყაზე აკოცა.



მლოცველები დაიშალნენ. ბეთული და მისი მხლებლები მეჩეთის სიგრილეში ცოტა ხანი შემორჩნენ.

შემდეგ მეჩეთიდან გავიდნენ და ისევ ბაზრობაზე ჩავიდნენ. ბეთულმა მეგობრებისთვის სხვადასხვა ფერის საპონი იყიდა. ასევე არ დავიწყებია შაქარლამების ყიდვა.

ბეთული და მისი მხლებლები მეჩეთის შესასვლელში სეირნობდნენ. მათ გარდა უამრავი ადამიანი იყო მოსული, რათა ეს ისტორიული ქმნილება ენახათ.

